ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი, დაპროექტება და ექსპერტიზა”

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

(დოპ)

ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №34, (ნაკვეთი 40/220) მშენებლობა შეჩერებული მრავალფუნქციური შენობის მიწაში ჩაღრმავებული სართულის მონოლითური რკინაბეტონის დემონტაჟზე

თბილისი
2017 წ

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება და ექსპერტიზა”

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

(დოპ)

ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №34, (ნაკვეთი 40/220)
მშენებლობა შეჩერებული მრავალფუნქციური შენობის მიწაში
ჩაღრმავებული სართულის მონოლითური რკინაბეტონის დემონტაჟზე

დირექტორი რ. მახვილაძე

შეადგინეს ნ. მურჯიკნელი

რ. მახვილაძე

თბილისი
2017

სარჩევი

1. ობიექტის დახასიათება 4
2. კალენდარული გრაფიკი თანხების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. 8
3. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით. 10
4. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე 10
5. საანგარიშო პერიოდზე გადამყვანი ინდექსის შესახებ 11
6. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე. 12
7. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. 12
8. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები 12
9. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები 13
10. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია 10
11. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა 17
12. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე. 18
13. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები 19
14. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა 20
15. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა 21
16. ხედი ა-თ ღერძებში. 22
17. გეგმა ნიშნულზე მინუს 5,7. 23
18. ფოტო მასალა. 24
19. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;. 29

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №34, (ნაკვეთი 40/220) მშენებლობით შეჩერებული მრავალფუნქციური შენობის მიწაში ჩაღრმავებული სართულების მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟზე

1. ობიექტის დახასიათება

1.1. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება სადემონტაჟო სამუშაოთა დაპროექტირებაზე;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო გეგმა;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები;
- შენობების აზომვითი გეგმები და ჭრილები;
- ტოპოგეგმა;
- მოხდა ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- წარმოდგენილია ფოტო-მასალა არსებულ მდგომარეობაზე.

1.2. მშენებლობა დაწყებულა 2007 წელის შემოდგომაზე, მოშენების ფართი შეადგენს 1275,1 მ^2, ამჟამად მოწყობილია მიწაში ჩაღრმავებული სართული ნიშნულზე მინუს 5,7 მეტრი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით : საძირკვლის ფილა, სვეტები, დიაფრაგმული კედლები, ლიფტის შახტის კედლები, შემომზღუდავი გარე კედლები. სვე, ნიშნულზე მინუს 2,9 მეტრი დახურულია სართული რიგელებზე მოწყობილი ფილით. Xოლო ნისნუკლებს შორის მინუს 2,9 და მინუს 0,1 მეტრი ამოყვანილია სვეტები ნაწილობრივ კედლები.

1.3. კონსტრუქციული ნახაზებით კ-1-დან კ-11 -ისა და კ-62-დან კ-68, აგრეთვე სხვა ნახაზების შესაბამისობით სადემონტაჟო სამუშაოთა შედეგად დაშლილი ბეტონის მოცულობები და გამოთავისუფლებული არმატურის რაოდენობები წარმოდგენილია ცხრილში. იხ. გვერდი. 10. მშენებლობა უკვე 8 წელი შეჩერებულია, დროებითი ღობე ორი მხრიდან

მოხსნილია და ობიექტი უცხო პირთაგან დაცულია მაღალი ყრუ კედლით. დანარჩენ ორ მხარეზე შემორჩენილია დროებითი ღობეები.

1.4. სამშენებლო მოედნის საკადასტრო კოდია 01.14.03.40.220. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „პლანეტა"-ს მიერ 2007 წელს. შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული გადეგმარების საქალაქო სამსახურთან, მის მიერ 2007 წლის 27 სექტემბერს გაცემულია ბრძანებაც №03/1056 მისი დამტკიცებისა და მშენებლობის დაწყების შესახებ.

1.5. დამტკიცებული პროქტის მიხედვით შენობა მიწაში ჩარმავებული სართულების ჩათვლით 18 სართულიანია, ხასიათდება შემდეგი ტექნიკო-ეკონომიკური მავენებლებით :

- ტერიტორიის ფართობი – 5237,0 კვ.მ.
- მოშენების ფართობი – 1275,1 კვ.მ.
- მთლიანი ფართობი – 22715,7 კვ.მ.
- მათ შორის საცხოვრებელი – 12310 კვ.მ.
- საოფისე ფართობი – 1021,1 კვ.მ.
- კომერციული ფართობი – 717,0 კვ.მ.
- საზაფხულო ფართობი – 2789,7 კვ.მ.
- მიწაში ჩაღრმავებული ავტოსადგომების ფართობი – 1549,3 კვ.მ.
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 3525,0 კვ.მ.
- ტექნიკური სართულის ფართობი – 803,6 კვ.მ.
- სამშენებლო მოცულობა – 73703,8 კუბ.მ.

  0.00 ნიშნულს ზევით – 68010,35 კუბ.მ.

  0.00 ნიშნულს ქვევით – 5693,0 კუბ.მ.

1.6. უკვე რვა წელია დაუმთავრებელი მშენებლობა ატმოსფერული ზემოქმედების ქვეშაა, სარდაფში წვიმისაგან ჩამდინარე წყლები დგას. შელახულია მისი იერსაზე. აღნიშნულის გამო მეპატრონემ მშენებლობის განახლების წინ გადაწყვიტა მოწყობილი რკინაბეტონის კონსტრუქციების დიაგნოსტიკური გამოკვლევა. ურღვევი დიაგნოსტიკური კვლევებით დადგინდა, რომ მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციებში ჩასხმული ბეტონის კლასი B-15÷20 (მ200-250) ფარგლებშია და ვერ აკმაყოფილებენ საპროექტო B25 კლასის (მ-300) მოთხოვნილებებს. აუცილებელია მათი

კონსტრუქციული გაძლიერება მათზე 16 სართულისაგან გადაცემული დატვირთვების გათვალისწინებით.

1.7. აღნიშნულიდან გამომდინარე მეპატრონემ გადაწყვიტა მათი დემონტაჟი და მშენებლობის განხორციელება განახლებული საპროექტო დოკუმენტაციით, რომელიც მერიის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებულად მზადდება. მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციით იზრდება სართულების რაოდენობა.

1.8. ზემოთ აღნიშნული ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე დენომტაჟს ექვემდებარება შემდეგი კონსტრუქციული ელემენტების დაშლა: ნიშნულზე მინუს 2,9 მეტრი გადახურვის თავზე სვეტების და ნაწილობრივ მოწყობილი კედლების, იმავე ნიშნულზე გადხურვის ფილის და რიგელების, ნიშნულებს მინუს 5,7 და 2,9 მეტრს შორის სართულშუა მოქცეული კიბის მარშების, ბაქნების, სვეტების, დიაფრაგმული კედლების და მათთან ერთად შენობის შემომზღუდავი კონტურული კედლებისა, აგრეთვე საძირკვლის ფილისა. გადახურვის ფილის ფართობი ნახაზების კ-1 მიხედვით 43,4X48+40,8+45,4=3935,52 მ^2, მათში შემავალი სარდაფის შემომზღუდავი კედლების ფართობი შეადგენს (40,8+45,4)X2X3(ჩ)=517,2 მ^2, ასევე დიდია სარდაფის სივრცეში განთავსებული დანარჩენი სადემონტაჟო რკინაბეტონის კონსტრუქციების მოცულობები და სამშენებლო ნაშალისაგან გამორჩეული არმატურების რაოდენობები. იხილეთ ცხრილი.

№№	ნახაზის ნომერი	კონსტრუქციის დასახელება	ბეტონი მ^3	არმატურა AI და AIII კლასი. ტონა
1	2	3	4	5
		შევსებულიასადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობით		
1.	კ-53, კ-62 დან კ-68 მდე	სვეტების დემონტაჟი ნიშნულებს -0,1 და -2,9 შორის	110	20,9
2.	კ-15 კ-16	შემომზღუდავი კედლები იმავე ნიშნულებს შორის	125	11,8
3.	კ-24	გადახურვის ფილა ნიშნულზე მინუს 2,9 მეტრი	350	52,13

4.	კ-111	რიგელების დემონტაჟი ნიშნულზე მინუს 2,9 მეტრი	170	27,4
5.	კ-53, კ-62-დან კ-68-მდე	სვეტების დემონტაჟი ნიშნულებს შორის მინუს 2,9 და მინუს 5,7 მეტრი	110	20,9
6.	კ-15, კ-16	შემომზღუდავი კედლები იმავე ნიშნულებს შორის	251	23,73
7.	კ-127-დან კ-129-მდე	დიაფრაგმული კედლების დემონტაჟი იმავე ნიშნულებს შორის	67	6,45
8.	კ-8	საძირკვლის ფილის დემონტაჟი ნიშნულზე მინუს 5,7 მეტრი	2555	212,28
9.	კ-10-დან კ-13-მდე	საძირკვლის ფილაშიარმატურის ამონაშვერები სვეტებში არმატურის კარკასების გადასაბმელად	–	29,89
10.	კ-8	ბეტონის მოსამზადებელი ფენა	209	–
		ჯამი	3947	405,48
11.	კ-8	მდინარის ბალასტი	2555	–

1.9. თბილისური გამოცდილებით შენობის 1 მ^2-ის ფართობზე მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი მანქანა-იარაღების, მექანიზმებისა და სამარჯვების გამოყენებითა და ნაგვის გატანით შენობის 1 მეტრ კვადრატ ფართობზე გაანგარიშებით ჯდება 40-60 ლარი, მივიღოთ 50 ლარი, საორიენტაციო ღირებულება დემონტაჟზე იქნება 3936X50=196800 ლარი=196,8 ათასი ლარი.

1.10. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მეიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენით, რასაც ცხადია უნდა დაეთანხმოს დამკვეთიც.

1.11. დაშლით სამუშაოთა ხანგრძლივობაზე ჩვენს მიერ იგეგმება ხუთი თვის პერიოდი.

1.12. კალენდარული გეგმა და გრაფიკი დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე წარმოდგენილია მე-2 და მე-3 ცხრილებში.

2. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა განხორციელების საფინანსო კალენდარული გეგმა

№№	სამუშაოთა დასახელება	ღირებულება ათ. ლარი	მოთხოვნილება თანხებზე ათ. ლარი				
			კალენდარული თვეები და დღეები				
			I	II	III	IV	V
			30	60	90	120	150
1.	ტერიტორიის დროებითი შემოღობვა	0,8	0,8				
2.	შენობის მიწაში ჩაღრმავებული სართულების, სვეტების, გადახურვის ფილის, რიგელების საძირკვლის ფილის და სხვა მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა-დემონტაჟი	196,0	38,0	40,0	40,0	39,0	39,0
3.	სულ სადემონტაჟო სამუშაოთა ღირებულება	196,8	38,8	40,0	40,0	39,0	39,0
6.	პროცენტული მოთხოვნილება	100%	20%	20%	20%	20%	20%
7.	შრომითი დანახარჯები კაც-დღე	2250	450	450	450	450	450
8.	მომუშავეთა საშუალო რაოდენობა მუშაკი	15	15	15	15	15	15

მითითებები: 1. სადემონტაჟო სამუშაოებით გათვალისწინებულია ნიშნულებში მინუს 2,9 და 0,1 მეტრს შორის მონოლითური რკინაბეტონის სვეტების და ნაწილობრივ მოწყობილი რკინაბეტონის კედლების, მინუს 2,9 მ გადახურვის ფილის და რიგელის, მის ქვეშ კი მინუს 5,7 და მინუს 2,9 მეტრის სივრცეში სვეტების, დიაფრაგმული, კიბის უჯრედისა და ლიფტის შახტის კედლების, აგრეთვე შენობის გარე კონტურზე კედლების დემონტაჟი. ბოლო ეტაპია საძირკვლის ფილის და მის ქვეს ბეტონის მომასწორებელი ფენის დაშლა და ბალასტის გაუმკვრივებელი ფენის მოცილება. პარალელურად უნდა გაითვალისწინოთ სამშენებლო ნაშალის თვითმცლელებზე დაყრა და გატანა.

2. თბილისური გამოცდილებით შენობის 1 მ^2-ის ფართობზე მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი მანქანა-იარაღების, მექანიზმებისა და სამარჯვების გამოყენებითა და ნაგვის გატანით შენობის 1 მეტრ კვადრატ ფართობზე გაანგარიშებით ჯდება 40-60 ლარი, მივიღოთ 50 ლარი,

საორიენტაციო ღირებულება დემონტაჟზე იქნება 3936X50=196800 ლარი=196,8 ათასი ლარი.

3. სამშენებლო ობიექტი ამჟამად ნაწილობრივ შემოღობილია, დროებითი ღობე ორი მხრიდან მოხსნილია და უცხო პირთაგან დაცულია მაღალი ყრუ კედლით. იხილეთ ფოტო. დანარჩენ ორ მხარეზე შემორჩენილია დროებითი ღობეები. საჭიროა დროებითი ღობის დამატება დანარჩენ ორ მხარეზე, ისე, როგორც მონიშნულია დემონტაჟის გენგეგმაზე.

4. სამუშაოები იგეგმება 5 თვის პერიოდში, თვეში 30 სამუშაო დღეა მიღებული.

5. მომუშვეთა საშუალო რაოდენობა დღში მივიღოთ 15 კაცი. 30 სამუშაო დღის პერიოდში საჭირო გახდება 15X30=450 კაც-დღის დახარჯვა. თუ მომუშავეზე მოილაპარაკებთ დღეში საშუალო 8 საათის პერიოდში ანაზრაურებას 30 ლარის ოდენობით მივიღებთ 1 კაც-დღეზე თვეში გასაცემი იქნება ხელფასის სახით 30X30=900 ლარი, 15 მომუშავეზე 13500 ლარი, 5 თვის ანუ 150 სამუშაო დღის პერიოდში 13500X5=67500 ლარი. საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით 25% 67500X1,25=84375 ლარი. დანარჩენი 198,6-84,38=114,20 ლარი უნდა გაითვალისწინოთ მანქანა-მექანიზმების დაქირავებაზე.

3. დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით

სამუშაოთა ხანგრძლივობა 5 თვე ანუ 1 სამუშაო დღე

№№	სამუშაოთა დასახელება	დღეები	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი				
			კალენდარული თვეები და დღეები				
			I	II	III	IV	V
			30	60	90	120	150
1.	ნიშნულებს შორის მინუს 2,9 და 0,1 მეტრი მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების და სხვა კონსტრუქციების დემონტაჟი	15	15				
2.	ნიშნულზე მინუს 2,9 მ მონოლი-თური რკ.ბ. გადახურვის ფილისა და რიგელების დემონტაჟი.	30	30				
3.	ნიშნულებს შორის მინუს 5,7 და 2,9 მ. მონოლითური რკ. ბ. სვეტ-ების, კიბეების და დიაფრაგმული კედლების დემონტაჟი	30		30			
4.	ნიშნულებს შორის მინუს 2,9 და 5,7 მეტრი შენობის გარშემო მონოლითური რკ. ბეტონის კედლების დემონტაჟი	30			30		
5.	ნიშნულზე მინუს 5,7 მ საძირკვ-ლის ფილის დემონტაჟი ბეტონის მომასწორებელ ფენასთან ერთად	45				45	
6.	ფილის ქვეშ მდინარის ბალასტის ამოღება	15					15
7.	სამუშაოთა წარმოების პერიოდ-შივე სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა თვითმცლელებზე და გატანა	150	საჭიროების მიხედვით				

3.1. სამშენებლო ნაგვის გატანის შემდეგ აუცილებელია განთავისუფ-ლებულ ტერიტორიაზე მომზადდეს ახალი ქვაბული მერიის არქიტექ-ტურის სამსახურთან შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

4. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

4.1. სადემონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად გათვალისწინებულია ბრიგადის დაქირავება 15 კაცის შემადგენლობით თვიური ანაზრაურებით 900 ლარი მომუშავეზე. ამოსაწერი თანხა შეადგენს 900X1,25=1125 ლარს.

15 კაცზე 5 თვის პერიოდში გასაცემი იქნება 1125X15X5=84375 ლარი. სამუშაოს წარმოება რეკომენდებულია თანხების თანაბარი ათვისებით ყოველი სამუშაო დღის პერიოდში როგორც ეს აღნიშნულია ფინანსიურ კალენდარულ გეგმაზე. 15 მომუშავეზე ვანგარიშობთ :

4.2 საყოფაცხოვრებო სათავსებს:

- გასახდელებს – 15X0,7=10,5 კვ. მეტრი;
- საშხაპეს – 15X0.082=1,23 კვ. მეტრი;
- ტუალეტი – 15X0,065=0,97 კვ. მეტრი

სულ გვჭირდება 12,70 კვ. მეტრი.

4.3 კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 1 კაცზე სულ საჭიროა 10+4X1=14 კვ. მეტრი.

4.4. ცხადია ანგარიში პირობითია. დაშლით სამუშაოთა წარმართვის პერიოდში მომუშავე პერსონალი უნდა დაკმაყოფილდეს ნაკვეთზე ერთი ინვენტარული ვაგონის ჩადგმით. იხილეთ სამშენებლო გენგეგმა.

5. საანგარიშო პერიოდზე გადამყვანი ინდექსის შესახებ

5.1. შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟის პერიოდში წარმოიშობა მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე, ჟანგბადზე და სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. მათი გათვლა წარმოებს სნ-73 ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ერთ მილიონ ლარ დანახარჯზე წლიური შესასრულებელი პროგრამის მიხედვით, რომელიც დღეისათვის შეესაბამება

5.2. ვინაიდან სამუშაო სრულდება ერთ წელთან შედარებით შემჭიდროვებულ ვადებში საჭიროა შემჭიდროების კოეფიციენტის გათვალისწინებაც k=12:5=1,4

5.3. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება დაშლაზე შეადგენს 196,8 ათას ლარს ანუ 0.197 მლნ. ლარს.

6. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

6.1 მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

0,78X140X0,197X1,4=30,11 კვტ

6.2 მოთხოვნილება წყალზე

0,93X0,24X0,197X1,4=0,06 ლ/წმ

6.3 მოთხოვნილება კომპრესორზე

0,93X0,32X0,197X1,4=0,08=1 ცალი

6.4 მოთხოვნილება ჟანგბადზე

0,93X4400X0,197X1,4=1128,57 მ^3/საათში

ფორმულებში 0,78; 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140; 0,24; 0,32 და 4400 ერთ მილიონ ლარზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატული დანახარჯები.

6.5. მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლოატაციო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება-კონტაქტების საფუძველზე.

7. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტიც ანგარიშდება 1 მლნ. ლარ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

7.1 თვითმცლელი მანქანები 0,197X11,62X1,4=3,20= 3 ცალი დღეში

7.2 ძარიანი მანქანები 0,197X8,57X1,4=2,36=2 ცალი დღეში

7.3. თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინასწარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

8. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

8.1. ჩვენს მიერ შედგენილი დოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 „დემონტაჟის წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს მშენებლო-ბაზე

ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონის-ძიებათა დაცვით.

8.2. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

8.3. დემონტაჟის დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

8.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დემონტაჟის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

8.5. შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

8.6. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველო ბის ქვეშ.

9. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

9.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.

9.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმებია და წესები, რომლე ბითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-15-76 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები”
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები”;
- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები”;
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები”;
- სნ და წ 3.02.03-84 ფუძეები და საძირკვლები.

- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";

- სნ და წ 3.02.01-83-ისა „მიწის სამუშაოები"

- სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკე- თებელი სამუშაოები";

- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";

- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა";

- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";

- სნ და წ 111-30-79 „წყალ მომარაგება, კანალიზაცია და თბო- მომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";

- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";

- სნ და წ 111-4-80 '„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტჟო სამუ-შაოთა წარმოებისდროს;

- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზა- ციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";

- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ";

- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექს- პლუატაციაში მიღება.

9.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
- მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრ- თხოება, 1998 წელი.
- ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწეს-

რიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

9.4. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

9.5. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

9.6. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

9.7. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდე-ბულია სამშენებლო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცვე-ლობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

10. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

10.1. დემონტაჟის დაწყების წინ აუცილებელია დასაშლელი ობიექტის შემოღობვა დროებითი ღობით, როგორც ნაჩვენებია სამუშაოთა გენგეგმაზე, ვინაიდან არსებული ღობე ამჟამად ნაწილობრივ მოშლილია.

10.2. შენობა უნდა შეიფუთოს მტვრის დამჭერი ფარდით, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

10.3. სადემოტაჟო კონსტრუქციები : სვეტები, გადახურვის ფილები, რიგელები, შემომზღუდავი, დიაფრაგმული და სხვა კედლები, აგრეთვე საძირკვლის ფილა მონოლითური რკინაბეტონისაა. მათი დემოტაჟი შესაძლებელია კონსტრუქციათა დიდ მონაკვეთებად ჩაჭრით, ან უნდა მოინგრეს სანგრევი ჩაქუჩებით. პირველ შემთხვევაში საჭირო გახდება დიდ მონაკვეთებად დაჭრილ-ჩამოყრილ ფილების ავტოტრანსპორტზე დატვირთვისას მობილური ამწის გამოყენება

10.4. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით.

10.5. დაშლითი სამუშაოების უზრუნველყოფა ელ. ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან თელასთან და წყალკანალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

10.6. რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილების დაშლა უნდა მოხდეს მასზე ზევიდან მოძრაობის და სამშენებლო ნარჩენების ძირა სართულებზე ჩამოყრით, საჭიროა ხის ფიცარნაგების გამოყენება, რათა არმატურის ბადეებში არ მოხდეს მომუშავეთა ფეხის ჩაჭედვა, არმატურის ბადეების ბეტონისაგან გამოთავისუფლების შემდეგ საჭირო გახდება მათი ჩაჭრა და ჩამოშვება ძირა სართულის იატაკზე, ამ დროს სასურველია ბადის დაჭერა ამწის კაუჭებით, რათა არ მოხდეს მათი უნებლიე ჩამოვარდნა.

10.7. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყების წინ თავებში უნდა ჩაებას ამწის კაუჭები, მოხდეს მათი ჩაჭრა ძირში, ასევე სვეტებს შორის გადებული რიგელებისა, აიწიოს და ჩამოეშვას ავტომანქანების ძარებში. შესაძლებელია მათგან არმატურის ადგილზევე გამოთავისუფლება, ხოლო ბეტონის ნარჩენები გატანის საჭიროებით უნდა დაიტვირთოს თვითმცლელებზე.

10.8. ბოლო ეტაპია რკინაბეტონით ნაგები საძირკვლის ფილის დაშლა, პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩებით, აჯობებს ექსკავატორზე მოწყობილი

„კოდალა”-ს წვერიანი დანადგარის გამოყენება. მასთან ერთად უნდა დაიშალოს ბეტონის მომასწორებელი ფენა, ხოლო მის ქვეშ 1,2 მეტრის სისქის ბალასტის ამოღება უნდა მოხდეს ექსკავატორით. სასურველია ბალასტის ადგილზე დასაწყობება მომავალ მშენებლობაში გამოსაყენებლად. შემდეგ კი უნდა მოხდეს ტერიტორიის გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან.

10.9. ამავე დროს შენობა-ნაგებობათა დაშლის პერიოდში აუცილებელია დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

11ძ ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

11.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად გარდა ამწე-მექანიზმებისა საჭიროა სხვა მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში. ცხადია ცსრილით რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი შენობის დამშლელი ფირმის შესაძლებლობიდან და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე.

ცხრილი

№	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალი
1	2	3	4
1.	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	1
2.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპლ.	2
3.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
4.	სანგრევი ჩაქუჩები	-	5
5.	ქსკავატორზე მოწყობილი სანგრევი დანადგარი „კოდალა”		1

6.	დისკოსებური ელექტრო ხერხი	-	3
7.	სამშენებლო ამწე საავტომობილო ან მუხლუხა სვლაზე	-	1
8.	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლ.	3
9.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადა-სხვა	2
10.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	4
11.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2 და სიმაღლით 2 მეტრი	ცალი	2
12.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	1
13.	პერფორატორები	П-47	1
14.	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	ДГ-100-2	1
15.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТП-66Е	1
16.	ვიბროსამსხვრევი	С-47614	1
17.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
18.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	-	2

12. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

12.1. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

12.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

12.3. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

12.4. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

12.5. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენ-ტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

12.6. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

12.7. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

12.8. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხო-ების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

12.9. სამშენებლო ამწის მუშაობის პერიოდში მის სიახლოვეს იკრძალება სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშაკების ყოფნა, ამავე დროს თუ სადემონტაჟო კონსტრუქცია ამწის მოქმედების უსაფრთხოების ფარგლებში დროებითი ღობის გარეთ ხდება აუცილებელია ფეხიტ მოსიარულეთა გაფრთხილება მესიგნალის მიერ მათი დროებითი შეჩერებით სამუშაო ოპერაციის დასრულებამდე, ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებსაც მძღოლების გაფრთხილებით.

13. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

13.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

13.2 დემონტაჟის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

13.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

13.4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

14. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

14.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მომქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

14.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

14.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

14.4. СНиП 3.01.01.85* ,,Организация строительного производства”, М. 1989г.

14.5. СНиП III-4-80* ,,Техника безопасности на строительстве” , М. 1988г


14.6. Восстановление здании после землетрясения, М.1986г.


14.7. Л. Зайцев, И. Улитенко ,,Строительные стреловые самоходные краны”, М. 1984г.

14.8. Р. Каграмонов, Ш. Мачабели ,,Монтаж конструкций сборных многоэтажных гражданских и промышленных зданий”. М. 1987 г.

14.9. Справочник мастера – строителя , М. 1989 г.

სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა


40/128
40/170
40/174
40/153
8ჩ
7ჩ
ბოძი
ელ.ბოძი
ტელ.ბოძი
ხიდაკი
ღობე
ასფალტი
ბეტონი
ქვაფენილი
ბილიკი
ბორდიური
ტროტუარი
ნაგებობა
ნაგებობის ფრონტონი
ნაგებობის ფერდობი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ქვედა ნაწილის ზედა ნაწილი
ნაგებობის ფერდობის ფრონტონის ქვედა ნაწილ




მითითებები: 1. რეკომენდაციები ორგანიზაციის წარმოებისა და წარმართვის თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია. იხილეთ თავი 10.

2. სამშენებლო ზოლის გასწვრივ აუცილებელია ეკოლოგიური და ბუნების დაცვითი მოთხოვნილებების დაცვა. იკრძალება ხეების მოჭრა, სპეციალური ნებართვის გარეშე.

3. სამუშაოები უნდა წარიმართოს შრომის, ელექტრო და ხანძარუსაფრთხოების ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოს სამშენებ-ლო კანონმდებლობისა

გეგმა ნიშნულზე მინუს 5,70



აერო ფოტო



ფოტო ფიქსაცია






14.06.2017 11:23


14.06.2017 11:26


14.06.2017 11:23


14.06.2017 11:25


14.06.2017 11:25


